საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №739

2007 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებულ ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიში-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის (4.7 ჰა მიწის ფართობის) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიურ და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიში-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარედ სახელმწიფო ტყის ფონდიდან გამოეყოს მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე ელიას გორაზე ეკლესიისა და ილია წინასწარმეტყველის სახელობის ნიში-სამლოცველოს და მისასვლელი გზის მიმდებარე ყოფილი ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია კვარტალი №28, ლიტერი №4 – 2.0 ჰა, ლიტერი №6 – 0.7 ჰა, ლიტერი №10 – 2.0 ჰა საერთო ფართობი – 4.7 ჰა;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს ოცი წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი